სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

ქ. თბილისი **15 სექტემბერი 2022 წელი**

სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი N4

სხდომას თავმჯდომარე **ირაკლი მხეიძე** – სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ჯიქაია - სააგენტოს დირექტორის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ;

დავით გურამიშვილი - სააგენტოს დირექტორის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

მამუკა კიკალეიშვილი - სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ნიკა გოგლიძე - სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ლევან დოლიძე - სააგენტოს დევნილთა და ეკომიგრანტთა დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი.

ვლადიმერ ქებაძე - სააგენტოს დევნილთა და ეკომიგრანტთა დეპარტამენტის სოციალური საკითხებისა და პროგრამების მართვის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

თეიმურაზ შამუგია - ინფრასტრუქტურის სამსახურის ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი.

მაიკო მიქაია - სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი, კომისიის აპარატის წევრი.

სატენდერო კომისიამ მოისმინა:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ სატენდერო კომისიას წარუდგინა სააგენტოს სატენდერო კომისიის მიერ 2022 წლის 5 სექტემბრის ოქმი N2-ის შესაბამისად, ,,თი ემ ჯი გაირიმენკულ იათირიმ ინშაატ ვე ტიჯარეტ ანონიმ სირკეტი''-ს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია, კერძოდ:

1. პრეტენდენტის განცხადება სატენდერო კომისიის სახელზე.
2. სერდივანის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული სამშენებლო სამუშაოების ხელშეკრულება, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით და სამშენებლო სამუშაოების მიღების ოქმი.
3. მშენებლობის ნებართვები და შენობის სარგებლობის ნებართვა;
4. დოკუმენტაცია კომპანიის სახელწოდების შეცვლასთან და საიდენტიფიკაციო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით;
5. სატენდერო დოკუმენტაციის 1.4 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, გეგმა-გრაფიკის სახით.
6. შანიურფა-ს მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვა შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს პრეტენდეტის - ,,თი ემ ჯი გაირიმენკულ იათირიმ ინშაატ ვე ტიჯარეტ ანონიმ სირკეტი''-ს მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია, **რისი განხილვის შედეგად დადგინდა შემდეგი**:

1. სატენდერო პირობების 4.2.1. პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესყიდვა განხორციელებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების გარეშე, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს სამუშაოების შესრულების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები და სამუშაოების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები, ამასთან დოკუმენტს თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. პრეტენდეტის მიერ სამშენებლო სამუშაოების გამოცდილების სახით შანიურფა-ს მუნიციპალიტეტის ფარგლებში წარმოდგენილ მშენებლობის ნებართვას კომისია ვერ გაითვალისწინებს, ვინაიდან არ არის წარმოდგენილი ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია და არსებული დოკუმენტიც წარმოდგენილია ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანის გარეშე.

2. პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოდგენილია სერდივანის მუნიციპალიტეტთან 2016 წლის 17 აგვისტოს გაფორმებული სამშენებლო ხელშეკრულება N06137, სადაც მხარეებად ფიქსირდება სერდივანის მუნიციპალიტეტი და კონტრაქტორ მხარედ მოცემულია შპს ,,იუ გრუპ როიალ ინსთეით ინვესთმენთისა'' და სააქციო საზოგადოება ,,თურქმოლ ინვესთმენთ ანდ ევეიშენი'' - ს სერდივანის პროექტის ამხანაგობა, რომელსაც ხელს აწერს შესაბამისი უფლებამოსილი პირები: სერდივანის მუნიციპალიტეტის, შპს ,,იუ გრუპ როიალ ინსთეით ინვესთმენთისა'' და სააქციო საზოგადოება ,,თურქმოლ ინვესთმენთ ანდ ევეიშენი'' - ს წარმომადგენლები. ამავე ხელშეკრულებაში მაჟორიტარ პარტნიორად 51 %-ით მითითებულია თურქმოლი, ხოლო კერძო პარტნიორად - 49% -ით იუ გრუპი.

   კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ზემოაღნიშნული კონტრაქტის მიხედვით მხარედ წარმოდგენილია სერდივანის პროექტისთვის შექმნილი ამხანაგობა (9830435606), რომლის ფარგლებშიც შედის პრეტენდენტი კომპანია - ,,თურქმოლ ინვესთმენთ ანდ ევეიშენი'' - ს სახით და ხელშეკრულებით არ იკვეთება პრეტენდენტი კომპანიის მიერ შესასრულებელი სამუშაოების სრულად შესრულების ვალდებულება. ამასთან, მოცემული ხელშეკრულება თურქულ ენაზე წარმოდგენილია სრულად, რომელიც შედგება 42 მუხლისგან, თუმცა დოკუმენტს არასრულად ახლავს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

   ამასთან, სამშენებლო გამოცდილების დასადასტურებლად პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ სამშენებლო ნებართვებში და შენობის გამოყენების ნებართვაში **სამშენებლო კონტრაქტორად** მოცემულია შპს ,,იუ გრუპ როიალ ინსთეით ინვესთმენთისა'' და სააქციო საზოგადოება ,,თურქმოლ ინვესთმენთ ანდ ევეიშენი'' - ს სერდივანის პროექტის ამხანაგობა (9830435606).

რაც შეეხება პრეტენდენტის მიერ სამშენებლო სამუშაოების მიღების ოქმს, რომელიც შედგენილია 2021 წლის 17 მარტს, **კონტრაქტორის** დასახელებაში მითითებულია პრეტენდეტი - თი ემ ჯი გაირიმენკულ იათირიმ ინშაატ ვე ტიჯარეტ ანონიმ სირკეტი (634018) და შპს ,,იუ გრუპ როიალ ინსთეით ინვესთმენთიც", ამასთან ამავე ოქმში მოცემულია სამუშაოების დასასრულს ჩაბარებული მშენებლობის კვადრატულოიბები, რომელიც არ ემთხვევა პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვართულ მშენებლობისა და შენობის სარგებლობის ნებართვებში მოცემულ აშენებული ფართის კვადრატულობას, აღნიშნული კი თავის მხრივ არ იძლება შესრულებული სამუშაოს სრული კვადრატულობისა და სრული ღირებულების სწორად გამოთვლის შესაძლებლობას.

პრეტენდენტმა სამშენებლო სამუშაოების მიღების ოქმში ფართებთან დაკავშირებით აღნიშნული ცდომილება განმარტა ტექნიკურ შეცდომად, რაც მის მიერ ატვირთულ იქნა ელექტრონულ სისტემაში. ინფორმაციის გადამოწმების მიზნით სააგენტომ წერილით მიმართა სერდივანის მუნიციპალიტეტს, რომელმაც წარმოადგინა შესაბამისი პასუხი, რომელიც პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ვერ იქნებოდა ატვირთული.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ვინაიდან ვერ იკვეთება ტენდერში მონაწილე პრეტენდეტის - ,,თი ემ ჯი გაირიმენკულ იათირიმ ინშაატ ვე ტიჯარეტ ანონიმ სირკეტი"-ს მიერ სამშენებლო სამუშაოების სრულად შესრულების ფაქტი, ვინაიდან სამშენებლო ხელშეკრულება თურქულ ენაზე წარმოდგენილია სრულად, რომელიც შედგება 42 მუხლისგან, თუმცა დოკუმენტს არასრულად ახლავს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი, რომლისგანაც არ იკვეთება მათ შორის მხარეთა უფლება-მოვალეობები, პრეტენდეტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ' ქვეპუნქტის შესაბამისად.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ტენდერში **(NAT220014633)** მონაწილე ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტი - შპს „თი ემ ჯი გაირიმენკულ იათირიმ ინშაატ ვე ტიჯარეტ ანონიმ სირკეტი" დისკვალიფიცირებულ იქნეს და დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ატვირთოს წინამდებარე ოქმი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელმოწერისთანავე.

2. წინამდებარე ოქმი წარმოადგენს შეტყობინებას პრეტენდენტისადმი.

კომისიის სხდომის ოქმი კომისიის წევრების მიერ დამტკიცებულ იქნა.

კომისიის თავმჯდომარე:
ირაკლი მხეიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

დავით ჯიქია

კომისიის წევრები:

დავით გურამიშვილი

მამუკა კიკალეიშვილი

თეიმურაზ შამუგია

ნიკა გოგლიძე

ლევან დოლიძე

ვლადიმერ ქებაძე

კომისიის აპარატის წევრი:

მაიკო მიქაია

LEPL INTERNALLY DISPLACED PERSONS, ECOMIGRANTS AND LIVELIHOOD AGENCY

Digitally signed by LEPL INTERNALLY DISPLACED PERSONS, ECOMIGRANTS AND LIVELIHOOD AGENCY
Date: 2022.09.15 19:11:48 +04'00'